პოლიტიკა და ეკონომიკა

1. აპირებთ თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებ(ებ)ის ინიცირებას საქართველოს კონსტიტუციაში?

ჩვენ დავიწყეთ ხელმოწერების შეგროვება საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის მიზნით. კერძოდ, კონსტიტუციის 98–ე მუხლს უნდა დაემატოს მე–5 პუნქტი შემდეგი შინაარსით: „ტერიტორიული მთლიანობის დაცვის, თავდაცვისა და უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, საქართველო არ წევრიანდება რომელიმე საერთაშორისო სამხედრო ბლოკში ან ალიანსში. დაუშვებელია რომელიმე სამხედრო ბლოკის, ალიანსის ან სხვა გაერთიანების სამხედრო შენაერთების განთავსება 1991 წლის მდგომარეობით აღიარებულ საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებში“.

2. რა პოლიტიკას განახორციელებთ სასამართლოების დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის გასაძლიერებლად?

მართლმსაჯულება გამომდინარეობს სასამართლო ხელისუფლების რეალური დამოუკიდებლობიდან, რაც, თავის მხრივ, ქვეყანაში არჩევითი დემოკრატიის მთავარი დასაყრდენი უნდა იყოს. ,,ქართული ოცნების“ მიერ სასამართლო რეფორმად წოდებული პირველი და მეორე ტალღა, სხვა არაფერი აღმოჩნდა, თუ არა ინდულგენცია იმ მოსამართლეებისათვის, რომლებიც იყვნენ ,,ნაციონალური მოძრაობის“ სისხლიანი რეჟიმის თანაშემოქმედნი და საბოლოო სასამართლო აქტებით აკანონებდნენ ყოველგვარ ბოროტებას, რომელსაც იგი სჩადიოდა ქვეყანაში წლების განმავლობაში. გამომდინარე აქედან, „დემოკრატიული მოძრაობა“ მიიჩნევს, რომ

- მოსამართლე, როგორც დამოუკიდებელი ხელისუფალი, ვერ ჩაითვლება პოლიტიკური რეჟიმის მსხვერპლად, თუ მის მიერ საქართველოს სახელით ერთპიროვნულად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება ნაკარნახევია პოლიტიკური კონიუნქტურით. შესაბამისად, ის შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ასეთი რეჟიმის შემოქმედად და დაუყოვნებლივ უნდა იქნას ჩამოცილებული დაკავებული თანამდებობიდან.
- უნდა გადაიხედოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არჩევის და უფლებამოსილების განხორციელების წესი. არჩევნები უნდა ტარდებოდეს არა მოსამართლეთა დახურულ კონფერენციებზე, არამედ საჯარო-საზოგადოებრივი განხილვების გზით, თითოეულ კანდიდატთან მიმართებით.
- უნდა გაიზარდოს მოსამართლეთა განგრძობადი განათლების დიაპაზონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და ფინანსურ-ეკონომიკური სახის სასამართლო დავების ფარგლებში, სპეციალური ცოდნისა და გამოცდილების მიღების მიზნით.
- საქართველოს კონსტიტუციის დღევანდელი რედაქციით მოსამართლეთა ხელშეუხებლობის საგარანტიო ნორმები შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი დამოკრატიული საზოგადოების მიზნებთან.

3. რა პოლიტიკას განახორციელებთ ადამიანთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის განსამტკიცებლად?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

4. როგორი საარჩევნო სისტემა უნდა არსებობდეს საქართველოში?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

5. როგორია თქვენი ხედვა განათლების პოლიტიკის მიმართ და რა პოლიტიკას გვთავაზობთ დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?

განათლებას მოვიაზრებთ, როგორც უწყვეტ პროცესს, სკოლამდელი აღზრდიდან – უმაღლესი განათლების ჩათვლით. სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელებს უნდა აღუდგეთ პედაგოგის სტატუსი, სკოლის პედაგოგის ხელფასი არ უნდა ჩამოუვარდებოდეს 1,300 ლარს. უმაღლესი განათლების დაფინანსება მთლიანად უნდა აიღოს საკუთარ თავზე სახელმწიფომ. ცხადია, ეს დამატებით ხარჯებს მოითხოვს, მაგრამ თანამედროვე პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ ყველაზე რენტაბელური სწორედ მომავალი თაობის განათლებაში ჩადებული ინვესტიციაა. ამავე დროს, სახელმწიფომ ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი პედაგოგის კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებას, ანუ სახელმწიფო გამომცდელის პოზიციიდან უნდა გადავიდეს ხელშემწყობისა და დამატებითი ცოდნის მიღების გარანტორის პოზიციაზე. პროფესიული განათლება უნდა იქცეს ერთ–ერთ წამყვან რგოლად, რომელიც არა მარტო მოზარდებს, არამედ ნებისმიერი ასაკის მოქალაქეს მისცემს საშუალებას, მიიღოს ბაზარზე მოთხოვნილი უნარ–ჩვევები და აითვისოს ახალი პროფესია.

უნდა შეიქმნას სპეციალური ფონდი უცხოეთში სტუდენტების სასწავლებლად გაგზავნის მიზნით. საგანმანათლებლო კრედიტს, უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში, მთლიანად დაფარავს ფონდი. შესწავლილი იქნას ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების პროგნოზი და დაიგეგმოს შესაბამისი სპეციალისტების მოსამზადებელი პროგრამები. სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს ორწლიანი პროფესიული კოლეჯები, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ პრაქტიკული სპეციალობის, ხელობის შესწავლას საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ. გაუქმდეს ეროვნული გამოცდები და, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, აბიტურიენტები საატესტატო გამოცდების შედეგების მიხედვით ჩაირიცხონ უმაღლეს სასწავლებლებში. ეს ნაბიჯი სასარგებლო იქნება როგორც სტუდენტისთვის, ასევე უნივერსიტეტებისა და მთლიანად საზოგადოებისთვის. მსოფლიო კლასის განათლების სისტემის შექმნის გზაზე ეს აუცილებელი და ეფექტიანი ნაბიჯი იქნება.

6. რა ნაბიჯებს გადადგამთ უმუშევრობის დასაძლევად?

უმუშევრობის დასაძლევად ერთადერთი საშუალებაა ეკონომიკური განვითარება. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, პოლიტიკურის გარდა, მძლავრ ეკონომიკურ ფაქტორს წარმოადგენს. შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკის სრულფასოვანი განვითარება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე. მაგალითისთვის, საბჭოთა წლებში, მხოლოდ აფხაზეთში, ყოველწლიურად 6 მილიონი ტურისტი ჩამოდიოდა, როცა დღეს დანარჩენ საქართველოში მხოლოდ ორი მილიონი ადამიანი ჩამოდის. იგივეს თქმა შეიძლება საწარმოო საშუალებებსა და სასარგებლო წიაღისეულზე, საკომუნიკაციო საშუალებებსა და ინფრასტრუქტურაზე. საქართველოს უბლოკო სტატუსის ინიციატივის ერთ–ერთ მოტივს სწორედ ეკონომიკური განვითარება და

სრულფასოვანი სატრანსპორტო სისტემის აღდგენა-შექმნა წარმოადგენს. ამავე დროს, უმუშევართათვის ექვსთვიანი შემწეობა უნდა დაწესდეს.

7. როგორია თქვენი გეგმა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად? რა არის პრიორიტეტული თქვენს ეკონომიკურ სტრატეგიაში და რა კონკრეტული ინიციატივები გაქვთ?

აუცილებელია გადასახადების შემცირება და საგადასახადო კანონმდებლობის გამარტივება, რაც კიდევ უფრო მეტი ინვესტიციის, მათ შორის, შიდა ინვესტიციის მოზიდვას წაახალისებს. წინა ხელისუფლების დროს გამარტივდა ბიზნესის წამოწყება, მაგრამ წამოწყებაში, როგორც ჩანს, მხოლოდ დოკუმენტური მოთხოვნების გაიოლება იგულისხმებოდა. სინამდვილეში, ქაღალდზე იოლად დარეგისტრირებულ ბიზნესს რეალურად არანაირი გასაქანი არ ჰქონდა, ჩამოყალიბდა ხელისუფლებასთან აფილირებული ბიზნეს მონოპოლიები. მონოპოლიებს უნდა დაუპირისპირდეს ეფექტიანი ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც არც „ქართულ ოცნებას“ შეუქმნია.

8. ლარის კურსის გაუფასურებამ გასულ პერიოდში უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსახლეობაზე. აპირებთ თუ არა რაიმე პოლიტიკის გატარებას ამ მიმართულებით და თუ ასეა, რაში მდგომარეობს თქვენი გეგმა?

ლარი გახდეს რეალურად ერთადერთი საგადამხდელო საშუალება. დაუშვებელი უნდა იყოს ნებისმიერი გარიგების სხვა სახელმწიფოს ვალუტაში დადება. თავისთავად ეს მინიმუმამდე დაიყვანს ლარის კურსის გაუმართლებელ ცვალებადობას, რაც აგრერიგად აზარალებს საქართველოს მოსახლეობასა და ბიზნესს.

9. გთხოვთ, დაასახელოთ კონკრეტული ეკონომიკური პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც 2020 წელს შესაძლებელი იქნება შეფასდეს თქვენი ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკის შედეგები.

ეკონომიკური ზრდის ორნიშნა მაჩვენებელი: ეკონომიკის ზრდა, პირველ რიგში, გულისხმობს ექსპორტსა და შიდა ბაზარზე ორიენტირებული ბიზნესის განვითარებას. ამისათვის აუცილებელია ეკონომიკის საწარმოო ბიზნეს–სექტორში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ამ მიზნით მისაღებია რეფორმატორული საკანონმდებლო ცვლილებები. კანონთა აღნიშნული პაკეტი შეეხება კორპორატიული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას. ეს ინიციატივა მოგვცემს ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობას. ამასთან ერთად, ბიზნესკომპანიებს მიეცემათ საბანკო–სასესხო კაპიტალის საინვესტიციო კაპიტალით ჩანაცვლების შესაძლებლობა, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს საექსპორტო პროდუქციის თვითღირებულებას და აამაღლებს მის კონკურენტუნარიანობას.

საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვის სტიმულირების მექანიზმის დანერგვა რეალური ეკონომიკის სექტორში პირველი ორი წლის განმავლობაში მოგვცემს 2 მილიარდის ოდენობის „პორტფელური ინვესტიციების“ მოზიდვის საშუალებას.

Start-up-ის მდგომარეობაში მყოფი მცირე ბიზნესი უნდა გათავისუფლდეს გადასახადებისგან პირველი ორი წლის განმავლობაში.

ღია ტიპის სააქციო საზოგადოებების შექმნის სტიმულირების მიზნით, ამ ტიპის საზოგადოებები გათავისუფლდნენ დივიდენდებზე მიმართული თანხების შესაბამისად;

საინვესტიციო–საფონდო ბაზრის განვითარების ხელშესაწყობად, საფონდო ბროკერებისთვის მოხდება ახალი ნორმატიული პირობების შემოღება და მათთვის დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმის დაწესება (მოგების გადასახადი - 5%).

10. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი პოლიტიკა საგადასახადო და ფისკალურ პოლიტიკასთან მიმართებაში და დასახელოთ/განიხილოთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) ამ მხრივ.

საშემოსავლო გადასახადის შემცირება 12%-მდე, მოგების გადასახადის - 10%-მდე, ხოლო დივიდენდზე - 2%-მდე.

11. დასახელეთ სახელმწიფო ხარჯების თქვენთვის მისაღები პროპორცია მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, თუკი ასეთი პოზიცია გამოკვეთილი გაქვთ.

არა უმეტეს 22%-სა, ხოლო იდეალური იქნება 20%-მდე.

12. როგორია თქვენი პოლიტიკა სახელმწიფო ვალისა და საბიუჯეტო დეფიციტის მიმართ? რა პოლიტიკას გაატარებთ ამ მიმართულებით?

საბიუჯეტო დეფიციტის კლება 2%-მდე. სახელმწიფო ვალის შემცირების ტრენდი (სულ სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობა ბიუჯეტში ჩადებული 14,6 მილიარდი ლარის ოდენობით).

13. გთხოვთ, პირობითად გაანაწილოთ საქართველოს ბიუჯეტი თქვენი პოლიტიკის პრიორიტეტების მიხედვით (მაგალითად: თავდაცვა 25%, ჯანდაცვა 25%, სოციალური სფერო 25%, განათლება 15%, სხვა 10% და ა შ. სადაც კატეგორიაში "სხვა" მხოლოდ 3%-ზე ნაკლები მოცულების მიმართულებები მოხვდება).

ჯანდაცვა და სოციალური ხარჯები - 35%, თავდაცვა, უსაფრთხოება, სამართალდაცვა - ჯამში 15%, განათლება 10%, სახელმწიფო მმართველობა - 7 %, სახელმწიფო ეკონომიკა (მათ შორის, ინფრასტრუქტურა და ენერგეტიკა) - 20 %, გარემოს დაცვა - 4%, ყველა დანარჩენი - 9 %.

14. რა პოლიტიკის გატარებას აპირებთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის?

ჩვენ მიერ შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილება საქართველოს უბლოკო სტატუსის შესახებ წარმოადგენს რეალურ შესაძლებლობას ჩვენს აფხაზ და ოს თანამოქალაქეებთან, აგრეთვე რუსეთის ფედერაციასთან მოლაპარაკებების დასაწყებად, რათა აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა იმ პირობით, რომ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აიკრძალება ნებისმიერი სახელმწიფოს, ან სამხედრო ბლოკის შენაერთების დგომა. ამავე დროს, უბლოკო სტატუსი ხელს არ უშლის საქართველოს სამხედროების მონაწილეობას სხვადასხვა წვრთნებსა თუ სამშვიდობო მისიებში. ვითვალისწინებთ აფხაზებისა და ოსების ინტერესს, რომელთაც არ ხიბლავთ საქართველოს გაწევრიანება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში, ასევე რუსეთის ინტერესს - საქართველოს ტერიტორიიდან სამხედრო საფრთხის შესაძლო არსებობის შესახებ, ვიწყებთ ქვეყნის გამთლიანებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეინტეგრაციის გზით. ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ყველა საშუალებით შევუწყობთ ხელს სახალხო დიპლომატიის გააქტიურებას, სახელმწიფო დიპლომატიასთან ერთად.

საზოგადოებრივი და სოციალური საკითხები

1. რა პოლიტიკის და კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას გეგმავთ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და მისი ხარისხის ასამაღლებლად?

ხელს შევუწყობთ სისტემის იმგვარ რეფორმირებას, რომ სამედიცინო პერსონალის წახალისება ხდებოდეს სწორედ ჯანმრთელი კონტინგენტის მატების შემთხვევაში, რისთვისაც სწორედ გამართული, თანამედროვე ამბულატორიული სისტემა იქნება მოწოდებული. იგი არ დაუშვებს დაავადებათა მძიმე ფორმამდე მისვლას. საბოლოო ჯამში, დღევანდელთან შედარებით, ეს ბევრად უფრო ეკონომიური სისტემა იქნება.

სახელმწიფო ჯანდაცვითი გარანტიები უნდა გახდეს, მართლაც საყოველთაო და სამართლიანი ნებისმიერი მოქალაქისთვის: მოქალაქეს, რომელიც დღეს დასაქმებასთან დაკავშირებულ კორპორატიულ დაზღვევას ფლობს და შეიძლება ხვალ სამუშაოს გარეშე დარჩეს, არ შეიძლება დაუყოვნებლივ არ მიენიჭოს უფლება, ისარგებლოს სამედიცინო მომსახურების იმავე პაკეტით, რაც საყოველთაო პროგრამითაა გათვალისწინებული და მას სამუშაოს დაკარგვასთან ერთად, ჯანმრთელობის დაკარგვის რისკიც არ გაეზარდოს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ყოფილ უბნის ექიმებს (ახლა ოჯახის ექიმებს უწოდებენ) - მოსახლეობისთვის პირველი ზოგადი საექიმო დახმარების გაწევის სპეციალისტებს, რათა მათი სამუშაო პირობები, მოტივაცია რეალურად შეესაბამებოდეს იმ დიდ ამოცანას, რომელსაც მათ ჯანდაცვის სისტემა აკისრებს და რა შედეგსაც მათგან მოვითხოვთ. რეალურად უნდა დავაფასოთ ამ პროფესიონალების მძიმე შრომა, განსაკუთრებით სოფლად.

ამბულატორული პროფილის დიაგნოსტიკურ-სამკურნალო დახმარების გაძლიერების პარალელურად, უნდა შეიქმნას და დაიხვეწოს მოსახლეობის მედიკამენტური საშუალებებით უზრუნველყოფის სახელმწიფოებრივი სქემები, რათა საბოლოოდ დავაღწიოთ თავი უწამლობით მიშვებული ავადობისა და თვითმკურნალობის მიზეზით გამოწვეულ მძიმე შედეგს.

სახელმწიფო თავისი მატერიალური შესაძლებლობისა და სამედიცინო ქსელის პოტენციალის ფარგლებში სრულად დაეხმარება მათ, ვისაც თვითონ არ შეუძლია უზრუნველყოს თავისი ჯანმრთელობა. სოციალურად მგრძნობიარე ფენები: ბავშვები, პენსიონერები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, უმუშევრები, ომის ვეტერანები, სტუდენტები, მრავალშვილიანი ოჯახის წევრები, მაღალმთიანი რეგიონების მცხოვრებლები, სოციალურად დაუცველი პირები, უზრუნველყოფილი იქნებიან ქვეყანაში განხორციელებადი სრული სამედიცინო მომსახურებით (ამბულატორული სამედიცინო დახმარებიდან დაწყებული სტაციონარულით დამთავრებული, სამედიცინო ჩვენებით აუცილებელი მედიკამენტების ჩათვლით).

2. რა ინიციატივებით (თუკი ასეთი გაქვთ) გამოდიხართ სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით?

უნდა შეიცვალოს კანონი „საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ“ და ხელისუფლებამ თანხის საბოლოო ოდენობის დათვლისას ორიენტირად უნდა აიღოს სოციალური ნორმატივი და არა ფაქტობრივი მონაცემები. კერძოდ, სასურსათო კალათის კალორიულობა 2,200-დან - 2,500

კილოკალორიამდე უნდა გაიზარდოს. სასურსათო და არასასურსათო ხარჯების შეფარდება არანაკლებ 50/50 უნდა განისაზღვროს. ამ ახალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გამოანგარიშებული საარსებო მინიმუმი საქართველოში დაახლოებით 250 ლარს შეადგენს. ხელფასებისა და პენსიების ინდექსაცია უნდა მოხდეს ინფლაციის გათვალისწინებით.

ქვეყანაში უნდა გატარდეს საპენსიო რეფორმა. პენსია (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მარჩენალდაკარგულების, პოლიტრეპრესირებულების და ყველა სხვა კატეგორიის მინიმალური პენსია) გაუტოლდება რეალურ საარსებო მინიმუმს, განისაზღვრება შრომითი სტაჟისა და დამსახურების მიხედვით. საარსებო მინიმუმს ზემოთ დაირიცხება დანამატი – ნამსახურობის ყოველ წელიწადზე. დედებს შვილის აღზრდის პერიოდი ჩაეთვლებათ შრომით სტაჟში; დაწესდება „დედის ხელფასი“.

ომის ვეტერანებისა და ომში დაღუპულთა ოჯახებისთვის უნდა შეიქმნას ღირსეული სოციალური გარანტიები.

უნდა განისაზღვროს მრავალშვილიანი ოჯახებისა და მარტოხელა მშობლის სტატუსი და შემოღებული იქნას მათთვის შემწეობა.

უნდა მოხდეს საცხოვრებელდაკარგულთა აღწერა და მათთვის ეფექტიანი დახმარების გაწევის მიზნით სოციალური დაცვის საგანგებო პროგრამის შემუშავება.

საშუალო ფენა უნდა გაძლიერდეს და რაოდენობრივად გაიზარდოს. ჩვენი მიზანია, რომ ქვეყანაში უმრავლესობა არა სოციალურად დაუცველთა ფენა, არამედ საშუალო ფენა გახდეს.

აუცილებელია ხელმისაწვდომი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება - წელიწადში მინიმუმ 100 ათასი კვ.მ ფართით ახალგაზრდა ოჯახების დაკმაყოფილება. ამისათვის, უნდა შეიქმნას არამომგებიანი სახელმწიფო ფონდი, რომელსაც საბრუნავი სახსრები, 50 მილიონი ლარის უპროცენტო სახელმწიფო სესხის სახით, და მიწის ნაკვეთები უსასყიდლოდ გადაეცემა. ამრიგად, ახალგაზრდა ოჯახი საცხოვრებელი ფართის მხოლოდ თვითღირებულებას, ანუ დღევანდელი საბაზრო ფასის მესამედს გადაიხდის. შემოსული თანხა კვლავ შეავსებს ფონდს შემდგომი 100 ათასი კვ.მ-ის ასაშენებლად, რომელიც კვლავ ახალგაზრდა ოჯახებს დაეხმარება.

3. რა პოლიტიკას გაატარებთ იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელი და სამუშაო სივრცის უკეთ ორგანიზებისთვის?

იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ საჭიროა კონკრეტული პრევენციები სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის წასახალისებლად საგადასახადო შეღავათის გზით, თუკი პარლამენტი მიიღებს ქველმოქმედების შესახებ, მცირე მეწარმეობის შესახებ და სააქციო საზოგადოების შესახებ კანონებს და მათი მოქმედების ფარგლებში მოხდება იძულებით გადაადგილებულ პირთა სამუშაო სივრცის რეალური ორგანიზება იმ ბიზნესების მხრიდან, რომლებიც ისარგებლებენ საგადასახადო შეღავათებით და რაც იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტური განსახლების ტერიტორიულ არეალს უნდა მოიცავდეს.

4. რა წინადადებებს (თუკი ასეთი გაქვთ) გვთავაზობთ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტად ინტეგრირებისთვის?

უმცირესობის უფლებების დაცვისა და მათი სამოქალაქო ინტერგრაციის შემდგომი პროცესი პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია კანონმდებლობასთან და, მათ შორის, საარჩევნო სისტემურ, კონსტიტუციურ ცვლილებებთან, რადგანაც სამხარეო პროპორციული საარჩევნო სისტემის არსებობის პირობებში უზრუნველყოფილი იქნება ეროვნული უმცირესობების ფართო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

5. პარლამენტთაშორისი კავშირის (Inter Parliamentary Union) მონაცემებით, საქართველო 185-დან 147-ე ადგილს იკავებს საკანონმდებლო ორგანოს წევრ ქალთა რაოდენობის მხრივ. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობის გაზრდისათვის.

საარჩევნო ბლოკი ,,ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა" განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის საკითხს და ამ მიზნით საარჩევნო სიების ყოველ ათეულში წარმოდგენილი გვყავდა და გვყავს ქალები.

6. რა პრობლემებს ხედავს თქვენი პარტია ბავშვთა უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით და რა პოლიტიკის გატარებას აპირებთ, რომ საქართველოში ყველა ბავშვის უფლება იყოს დაცული?

,,ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა" განუხრელად აპირებს დაიცვას ბავშვთა უფლებების საერთაშორისო კონვენცია და პირველ რიგში დაიცვას ბავშვები ყოველგვარი მავნე ზეგავლენისაგან საკანონმდებლო დონეზე. ჩვენ შევიმუშავებთ ახალგაზრდობის აღზრდის კონცეფციას, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიებთან ერთად, როვნულ ფასეულობებს და ტრადიციებს დაეყრდნობა.

7. გთხოვთ, დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც მიმართულია ეკოლოგიურად უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისაკენ.

ატმოსფერული ჰაერის ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსათვის უსაფრთხო მდგომარეობის მიღწევის, შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის საჭიროა გარემოსდაცვითი საქმიანობის სფეროს და მასში შემავალი ჰაერდაცვითი საქმიანობის სექტორის მდგრადი განვითარება, რისთვისაც შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები და ძირითადი ამოცანები არის განსაზღვრული:

- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების არსებული სადამკვირვებლო ქსელის გაფართოება და გადაიარაღება თანამედროვე ხელსაწყოებით;
- ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით ატმოსფერულ ჰაერის დაბინძურების შემცირების სტრატეგიის შემუშავება (ტექნიკური დათვალიერების, ტრანსპორტის მოძრაობის ოპტიმიზაციის, სატრანსპორტო მაგისტრალების, საწვავის ხარისხის კონტროლის სისტემის უზრუნველყოფა), ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ავტომატური სადამკვირვებლო დამონტაჟება;
- მოძველებული ხელსაწყო-დანადგარების შეცვლა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ხელსაწყოებით;

- ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით ურბანული ატმოსფერულ ჰაერის დაბინძურების შემცირების სტრატეგიის შემუშავება.

წყლის რესურსების ადმინისტრაციული მართვის პრინციპის შეცვლა საუზო მართვის პრინციპით, რომელიც ხელს შეუწყობს ფრაგმენტული (არაკომპლექსური) მიდგომის თავიდან აცილებას, წყლის ობიექტის მთლიან ჰიდროგრაფიულ საზღვრებში განლაგებული წყალმომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებას; უზრუნველყოფს წყლის რესურსების ეფექტურად გამოყენებასა და კომპლექსურად მართვას, სხვადასხვა სექტორების წყალმოსარგებლეების შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის წყლით უზრუნველყოფას და კონფლიქტების თავიდან აცილებას; სწორი გადაწყვეტილების მიღებას, რამაც უნდა უზრუნველყოს:

1. მოსახლეობისთვის სუფთა წყლით მიწოდება
2. საკანალიზაციო/სანიტარიის სისტემების შექმნა ადგილობრივ დონეზე
3. წყლის ობიექტების დაცვითი ღონისძიებების გატარება
4. წყლის, როგორც რესურსის შენარჩუნება

„წყლის შესახებ“ ახალი კანონის პროექტის შემუშავება და მიღება - წყლის რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების კანონმდებლობის სისტემის ფორმირებისათვის სისტემატიზებული სამართლებრივი საფუძვლის შექმნის გზით, ხელს შეუწყობს საქართველოში წყლის დაცვისა და გამოყენების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბების საქმეს, რაც, თავის მხრივ, მომავალში სწრაფი ეკონომიკური განვითარებისა და გარემოზე ანთროპოგენული ზემოქმედების ზრდის პირობებში, შექმნის ბუნებრივი გარემოს უმნიშვნელოვანესი კომპონენტის - წყლის რაციონალური (მდგრადი) გამოყენებისა და იმავდროულად წყლის რესურსების დეგრადაციის პროფილაქტიკის, შემცირებისა და მინიმიზაციის სამართლებრივ წინაპირობებს.

8. აპირებთ თუ არა სპეციალური პოლიტიკის გატარებას ქვეყანაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის?

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პირველი გარანტია გახლავთ ავტოტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერების სისტემის აღდგენა, ატმოსფერული ჰაერის დაცის შესახებ კანონის მოთხოვნების შესრულება მძიმე მეტალის შემცველი საწვავის კონტროლზე, საზგაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

9. აპირებთ თუ არა რაიმე პოლიტიკის გატარებას სამოქალაქო სექტორის/არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობისთვის?

სამოქალაქო სექტორი საქართველოში ბოლო წლებში დისკრედიტებული აღმოჩნდა, რადგან ხშირად მისი წარმომადგენლების მიკერძოებულობა მმართველი ძალისადმი აშკარად თვალში საცემი იყო. გარდა ამისა, ქვეყნის გარედან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ხშირად საკუთარი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებდნენ (მაგალითად, მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისების შესახებ საკონსტიტუციო სარჩელი). მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო თავად უნდა აფინანსებდეს სამოქალაქო სექტორს, იმ ამოცანებიდან გამომდინარე, რომლებიც ქართული სახელმწიფოს წინაშე დგას. დაფინანსება და პრიორიტეტების გამოკვეთა უნდა ხდებოდეს საჯაროდ და გამჭვირვალედ, სამოქალაქო სექტორისა

და სახელმწიფოს წარმომადგენლების პარიტეტული მონაწილეობით. ფართო საზოგადოება ინფორმირებული უნდა იყოს ყოველი პროექტის განხორციელებისა და მისი ეფექტიანობის შესახებ.

საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოება და საერთაშორისო ურთიერთობები

1. გთხოვთ, განიხილოთ საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები და რა სტრატეგიის განხორციელებას აპირებთ ამ პრიორიტეტების რეალიზაციისათვის.

- საქართველო, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ობიექტის ნაცვლად, მის სუბიექტად უნდა ჩამოყალიბდეს, უსაფრთხოების სფეროში ჩვენი პოლიტიკის ძირითადი პრინციპი პრევენციული დიპლომატია გახდეს;
- ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის და განმტკიცების მიზნით, გამოირიცხოს ავანტიურიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში, საქართველო, დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების პოლიგონის ნაცვლად, თანამშრომლობის სივრცედ იქცეს;
- ევროკავშირთან ურთერთობა მაქსიმალურად გაღრმავდეს;
- ჩრდილოატლანტიკურ სივრცესთან თანამშრომლობა უნდა იყოს თანასწორუფლებიანი და უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებაზე აგებული;
- რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება მაქსიმალურად ინტენსიურად წარიმართოს;
- რუსეთი უნდა დარწმუნდეს, რომ საქართველოს ტერიტორიიდან მას საფრთხე არ დაემუქრება;
- საქართველომ ყოველმხრივ ხელი შეუწყოს სტაბილიზაციის პროცესს ჩრდილოეთ კავკასიაში. მშვიდობიანი და სტაბილური კავკასია საქართველოსთვისაც უმთავრესი პრიორიტეტია;
- საქართველომ განამტკიცოს და გააღრმავოს ურთიერთობები მეზობელ სახემწიფოებთან და ყველა ჩვენი მოქმედება იყოს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობისაკენ მიმართული.

2. რომელ ქვეყნებთან/ქვეყანათა გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის, სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორმირებასა ან განმტკიცებაზე? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?

საქართველო, მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, არ შეიძლება იყოს რომელიმე ერთი სტრატეგიული პარტნიორის ამარა. ჩვენ ურთულეს რეგიონში ვცხოვრობთ და, ისტორიულად, ამ ტერიტორიაზე მუდამ იკვეთებოდა სხვადასხვა ძლიერი სახელმწიფოს ინტერესები. საქართველომ უნდა ითანამშრომლოს როგორც ევროკავშირის სახელმწიფოებთან, ასევე აშშ–თან, რუსეთთან, თურქეთთან, ირანთან, ჩინეთთან. საკუთარი ეროვნული ინტერესების გატარება შესაძლებელია სწორედ ამ სუბიექტებთან დაბალანსებული მრავალმხრივი ურთიერთობებით.

3. რა საკითხებს ანიჭებთ განსაკუთრებულ პრიორიტეტს ევროკავშირთან ასოცირების და ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულებების რეალიზაციის პროცესში?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

4. რა საგარეო პოლიტიკის გატარებას აპირებთ სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

5. როგორ წარმოგიდგენიათ თავდაცვის ორგანიზაცია?

აუცილებელია თავდაცვის თანამედროვე და რეალისტური დოქტრინის შემუშავება; შეიარაღებული ძალების მშენებლობისას საქართველოს ბუნებრივი პირობების და საჭიროებების გათვალიწინება; ქართული ჯარის წვევამდელთა სისტემიდან საკონტრაქტო სისტემაზე გადასვლა, რაც, აქტიური რეზერვის ფონზე, ჯარის გაჯანსაღების გარდა, უამრავ ადამიანს დაასაქმებს.

ომში დაღუპულები, ვეტერანები და მათი ოჯახები სახელმწიფოს მიერ დაფასებულნი უნდა იყვნენ იმისდა მიუხედავად, თუ სად და რომელი პრეზიდენტის დროს იბრძოდნენ. ყველა, ვინც აქ, საქართველოში იცავდა სამშობლოს, ისევე უნდა იყოს უზრუნველყოფილი, როგორც უცხოეთში მომსახურე სამხედროები. ომში დაღუპულთა ოჯახებისთვის სოციალური გარანტიების შექმნა სახელმწიფო პრიორიტეტად უნდა იქნას აღიარებული.

6. როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?

საქართველოს დღეს სასიცოცხლოდ სჭირდება ეროვნული უსაფრთხოების ყოვლისმომცველი თანამედროვე დოქტრინა. წინა ხელისუფლებისგან მემკვიდრეობით მიღებული მდგომარეობა საგანგაშოა სახელმწიფოს როგორც შიდა, ისე საგარეო საფრთხეების მასშტაბით. აუცილებელია ჩვენი სახელმწიფოს წინაშე არსებული გამოწვევების გამოვლენა, ჩვენი ეროვნული მიზნების მკაფიოდ გამოკვეთა და მათი მიღწევის რეალური მექანიზმების განსაზღვრა. ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სათანადო კონცეპტუალური ბაზის მომზადება, რომელიც უნდა მოიცავდეს ქვეყნის სტრატეგიული და ეროვნული ინტერესების პრიორიტეტულობას საერთაშორისო სამართლის პრინციპების, პარტნიორი და მეზობელი ქვეყნების ლეგიტიმური ინტერესების გათვალისწინებით, უსაფრთხოების პოლიტიკის სათანადო გამჭვირვალობასა და პროგნოზირებადობას, პოლიტიკის თანამიმდევრულ განხორციელებასა და შესაბამის საკადრო უზრუნველყოფას.